# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #29

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 26 აპრილი, 2018 წ.

ქ. ზესტაფონი

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ( შემდგომ - ხელშეკრულება") - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს # 13 ბრძანების გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,შემსყიდველი ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 ,,დრე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ ,,ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" დირექტორი თეა მაღლაკელიძის (შემდგომში შემსყიდველი") და **შპს „ოპტიმალს"** (რომლის მისამართია ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის 71, **ს/კ 430024582**) (შემდგომში ,,მიმწოდებელი") შორის.

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: Toner 1200 ( **30125100) შესყიდვა.**

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-!0! მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავრობის განკარგულება #99, 2012 წლის 24 იანვარი).

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **15 (თხუთმეტი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებიტ ნაკისრი ვალდებულებების სრულიად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი.

6. **ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება,

რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

## 7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება_ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშებზე.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელსეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორსმაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

10.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 % ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების უდავოდ შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დაწარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. სხვა პირები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 8 მაისის ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი**

სსიპ

ზესტაფონის უმაღლესი ჩხეიძის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო თეატრის
დირექტორი თეა მაღლაკელიძე
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღები - ზესტაფონის უმაღლესი ჩხეიძის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი

ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის 20

**მიმწოდებელი**

შპს „ოპტიმალი"

მიმღები ბანკი „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

ანგარიშის #GE34BG0000000321464600

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ზესტაფონი 26 აპრილი, 2018 წელი

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი: ერთის მხრივ სსიპ „ზესტაფონის უმაღესი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" მისი დირექტორი თეა მაღლაკელიძე და მეორეს მხრივ შპს „ოპტიმალის" დირექტორი (რომლის მისამართია ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის 71, ს/კ 430024582) 2018 წლის 26 აპრილს ხელშეწერილი ხელშეკრულება #29-ის თანახმად ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა შემდეგი სახის საქონელი:

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: Toner 1200 ( 30125100) შესყიდვა.

მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ „ზესტაფონის უმაღესი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში", ხოლო მეორე შპს „ოპტიმალში".

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

**შემსყიდველი**

სსიპ

ზესტაფონის უმაღესი ჩხეიძის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო თეატრის
დირექტორი თეა მაღლაკელიძე
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღები - ზესტაფონის უმაღესი ჩხეიძის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი

ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის

230053820

**მიმწოდებელი**

შპს „ოპტიმალი"

მიმღები ბანკი „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

ანგარიშის #GE34BG0000000321464600

GEORGIA LTD